საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/-108

ქ. ბათუმი 27 აგვისტო, 2020წ.

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/99 ბრძანების, ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/100 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში** აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ **სწავლის სემესტრული საფასურის** გადახდა **(ადმინისტრაციული რეგისტრაცია)** შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ) ეტაპად**, შემდეგნაირად:

ა) I **ეტაპზე - 2020 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით** გადახდილი უნდა იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%;**

ბ) II **ეტაპზე – 2020 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით** გადახდილი უნდა იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

გ) III **ეტაპზე – 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით** გადახდილი უნდა იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

2. ბსუ-ში 2020 წლის შემოდგომაზე აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **პირველსემესტრელი** სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა **(ადმინისტრაციული რეგისტრაცია)** შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ) ეტაპად**, შემდეგნაირად:

ა) I **ეტაპზე** - არაუგვიანეს 2020 წლის 16 სექტემბრისა, **აბიტურიენტთა** ბსუ-ში ჩარიცხვის მიზნით რეგისტრაციისას, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე: **არანაკლებ 800 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით სწავლის უფლება; არანაკლებ 340 ლარისა - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს 50%-იანი სასწავლო გრანტი; არანაკლებ 200 ლარისა - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს 70%-იანი სასწავლო გრანტი);

ბ) I **ეტაპზე** - არანაკლებ 800 ლარისა, 2020 წლის 24 -25 სექტემბერს, **მაგისტრანტობის კანდიდატთან** ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

გ) I **ეტაპზე** - არანაკლებ 1000 ლარისა, 2020 წლის 24 -25 სექტემბერს, **დოქტორანტობის კანდიდატთან** ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

დ) II **ეტაპზე** (2020 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით) და III **ეტაპზე** (2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **პირველსემესტრელი** სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფაროს **თანაბარწილადი შენატანით.**

3. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; **დანიშნულებაში უნდა მიეთითოს:** სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლის წელი (კურსი).
4. გადახდილი სწავლის საფასურის (კრედიტების საფასურის) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად ასახვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**